

6. მსაჯობა

- 6.1 თფფ-ს მიერ ჩატარებულ საფეხბურთო ტურნირს მოემსახურებიან თფფ-ს სამსაჯო განყოფილების მიერ დანიშნული მსაჯები და მათი მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს თფფ;
- 6.2 მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილებისა და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით და დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით;
- 6.3 მსაჯი ვალდებულია თამაშის დამთავრებისთანავე თფფ-ს აცნობოს თამაშის შედეგი;
- 6.4 მსაჯი ვალდებულია გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გაგამოუცხადებლობა გააფორმოს -თამაშის ოქმში, რომლის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს.
- 6.5 ფეხბურთელის შეცვლა ნებადართულია მოედნის ცენტრიდან, როდესაც ბურთი თამაშში არ არის.
- 6.6 მოედნიდან ფეხბურთელის გაძევების შემთხვევაში, გუნდის წარმომადგენელს შეუძლია ათამაშოს სათადარიგო ფეხბურთელი.

7. სადისციპლინო სანქციები

- 7.1 გამოყენებული იქნება თფფ-ს მოზარდთა და ბავშვთა ლიგის სადისციპლინო კოდექსი.

8. დაჯილდოება

- 8.1 ტურნირის გამარჯვებულები (პრიზიორი გუნდები) დაჯილდოვდებიან თასებით, დიპლომებით, მედლებით და სპორტული ეკვიპირებით.